სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება
GEO 02-148/22

ქ. თბილისი **15 ივნისი 2022 წელი**

ერთის მხრივ (შემსყიდველი): **სსიპ „იუსტიციის სახლი“**
წარმოდგენილი აღმასრულებელი დირექტორის მოვალების შემსრულებლის **ავთანდილ კოხრეიძის** სახით,
საიდენტიფიკაციო კოდი: **204 580 202**
მისამართი: **ქ. თბილისი, სანაპიროს ქ.№2**
მიმღები: **სახელმწიფო ხაზინა**
ბანკის კოდი: **TRESGE22**
სახაზინო კოდი: **707467520**

მეორეს მხრივ (მიმწოდებელი): **შპს „ენ ჯი თი გრუპ“**
წარმოდგენილი: დირექტორის **დავით სამხარაძის სახით,**
საიდენტიფიკაციო კოდი: **404922447**
მისამართი: **ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40**
ბანკის დასახელება: **სს „თიბისი ბანკი“**
ბანკის კოდი: **TBCBGE22**
IBAN: **GE94TB 7912 8360 8010 0001**

<u>წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 13 ივნისის № 1946 განკარგულების საფუძველზე **(SMP220001688),** გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:</u>

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი და შესყიდვის ობიექტი:

2.1. შესყიდვის ოქბიეტს წარმოადგენს, იუსტიციის სახლის საჭიროებისათვის:

- <u>**ფოტოგადაღებისა და ხარისხის კონტროლის SDK კომპონენტის ლიცენზიების შესყიდვა.**</u>
- **CPV კოდი: 48218000 - ლიცენზიების მართვის პროგრამული პაკეტები.**

2.2. შესყიდვის ობიეტის აღწერილობა და პირობები განისაზღვრება ხელშეკრულების დანართი №1-ის და დანართი №2-ის შესაბამისად.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს <u>**17 550.00 ლარს (ჩვიდმეტი ათას ხუთას ორმოცდაათი) ლარს (დღგ-ს გათვალისწინებით).**</u>

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მოწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს, მათ შორის, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ადგილი

4.1. შესყიდვის ობიექტი მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან **30 (ოცდაათი) კალენდარული დღის** განმავლობაში.

4.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემდეგ მისამართზე: **თბილისი, სანაპიროს ქ. #2, სსიპ იუსტიციის სახლი.**

5. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და პირობები:

5.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ეროვნულ ვალუტაში – ლარში, მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

5.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ანგარიშსწორებისთვის აუცილებელი დოკუმენტების სრულყოფილად გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5.3. წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

5.4. დაფინანსების წყარო: **სსიპ „იუსტიციის სახლის“** <u>**2022 წლის საკუთარი შემოსავლები.**</u>

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს **სსიპ „იუსტიციის სახლის“ ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ლოჯისტიკის სამსახური.**

6.2. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია, აწარმოოს მოწოდებული შესყიდვის ობიექტის ხარისხის და რაოდენობის ინსპექტირება ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე. შემსყიდველს უფლება აქვს ჩართოს ინსპექტირების პროცესში სხვა პირები, რომელთა ჩართვასაც ის ჩათვლის მიზანშეწონილად.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება ჩაბარების წესი:

7.1. შესყიდვის ობიექტის მოწოდების შემდეგ, შემსყიდველის მიერ განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირ(ებ)ის მიერ შედგენილი ინსპექტირების დასკვნის და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადების საფუძველზე მხარეთა შორის გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობები

8.1 „მიმწოდებელი“ ვალდებულია უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიწოდება წინამდებარე ხელშეკრულების და ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

8.2 „შემსყიდველი“ ვალდებულია:

8.2.1. უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მოწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

8.3 „მიმწოდებელს“ უფლება აქვს მოითხოვოს მოწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების დროული და სრული ანაზღაურება ხელშეკრულების პირობების მიხედვით.

8.4 „შემსყიდველს“ უფლება აქვს აწარმოოს მოწოდებული შესყიდვის ობიექტის ხარისხის და რაოდენობის კონტროლი.

8.5 მხარეები უფლებამოსილნი არიან განახორციელონ ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა. ვალდებულებათა გაქვითვა შესაძლებელია მაშინაც, როცა ერთ-ერთი მოთხოვნის შესრულების ვადა ჯერ არ დამდგარა, მაგრამ ამ მოთხოვნის უფლების მქონე მხარს უჭერს გაქვითვას. ვალდებულებათა გაქვითვა ხორციელდება მეორე მხარისათვის შეტყობინებით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეებს შესაძლოა დაეკისროთ პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით;

9.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, შესაძლოა დაეკისროს პირგასამტეხლო, ყოველ ასეთ შემთხვევაზე ხელშეკრულების ღირებულების 1%-ის ოდენობით;

9.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების მიზეზით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

9.4. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე ვადების გადაცდენისათვის ან/და არაჯეროვანი შესრულებისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.5. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შეუსრულებელია, შემსყიდველს უფლება აქვს დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

9.6. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.7. მხარეები უფლებამოსილნი არიან განახორციელონ ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა. ვალდებულებათა გაქვითვა შესაძლებელია მაშინაც, როცა ერთ-ერთი მოთხოვნის შესრულების ვადა ჯერ არ დამდგარა, მაგრამ ამ მოთხოვნის უფლების მქონე მხარს უჭერს გაქვითვას. ვალდებულებათა გაქვითვა ხორციელდება მეორე მხარისათვის შეტყობინებით.

10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ცვლილება დაიშვება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების თავდაპირველი ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია 10%–ზე მეტი ოდენობით;

10.4. თუ მხარე ჯეროვნად ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, მეორე მხარე უფლებამოსილია გავიდეს ხელშეკრულებიდან მის მიერ განსაზღვრული გონივრული დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ, ხელშეკრულების პირობების დამრღვევი მხარისთვის წერილობითი შეტყობინებით;

10.5. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი ურთიერთშეთანხმებით, წინამდებარე ხელშეკრულებით ან/და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში;

11. ხელშეკრულების შესრულების შეუძლებლობა

11.1. ხელშეკრულების დამდები მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს მხარის პასუხისმგებლობას თუ ხელშეკრულების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება გამოწვეულია შესრულების შეუძლებლობით (ფორს-მაჟორი);

11.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის შესრულების შეუძლებლობად (ფორს-მაჟორი) მიიჩნევა მხარეებისათვის წინასწარ უცნობი, გადაულახავი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელი გარემოებები. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა;

11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე მეორე მხარისაგან გონივრულ ვადაში არ მიიღებს წერილობით პასუხს, იგი ვალდებულია გააგრძელოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შესაძლებლობის ფარგლებში, შექმნილი გარემოებების გათვალისწინებით;

11.4. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორს-მაჟორული გარემოებების მოქმედების დასრულებისთანავე.

12. გარანტია

12.1. შესყიდვის ობიექტის საგარანტიო ვადა შეადგენს შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან არანაკლებ **1 (ერთი) წლის ვადით.**

12.2. საგარანტიო პერიოდის განმავლობაში, ექსპლუატაციის პერიოდის დაცვისას, დეფექტის ან ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია, გამოვლენილი დეფექტი გამოასწოროს შემსყიდველთან შეთანხმებულ გონივრიულ ვადაში, საკუთარი ხარჯებით, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დანახარჯის გაწევის გარეშე.

12.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების 12.2 პუნქტში მითითებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას ექსპლუატაციის პროცესში გამოვლენილი დეფექტები და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების სრულად ანაზღაურება.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულება დადებულია და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

13.2. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება მორიგებით;

13.3. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ თბილისის საქალაქო სასამართლოს.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს: ხელშეკრულების მე-9 და მე-12 მუხლი მოქმედებს ხელშეკრულების ფარგლებში მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების საბოლოო შესრულებამდე, **ხოლო ყველა სხვა ნაწილში ხელშეკრულება მოქმედებს 2023 წლის 31 იანვრის ჩათვლით.**

ხელმოწერილია:
ხელშეკრულება და მისი დანართი ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი პირების მიერ, „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით.
ვიზირებულია:
სსიპ „იუსტიციის სახლის“ შესყიდვების სამსახურის უფროსის მიერ.
სსიპ „იუსტიციის სახლის“ შესყიდვების სამსახურის მრჩევლის მიერ.
სსიპ „იუსტიციის სახლის“ ადმინისტრაციისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მიერ.

ტექნიკური დავალება

1 მიმოხილვა

1. SDK კომპონენტმა (პროგრამული უზრუნველყოფის განვითარების ხელსაწყოთა ნაკრები) უნდა უზრუნველყოს კამერიდან ფოტოსურათების ამოკითხვა და ხარისხის კონტროლი დამატებით სამუშაო ადგილებზე (კომპიუტერებზე), რომელიც უნდა ინტეგრირდეს შემსყიდველის სისტემაში არსებულ პროგრამულ უზრუნველყოფაში
2. კამერიდან ფოტოსურათების გადაღება და ხარისხის კონტროლის მიზნით ოპერატორის სამუშაო ადგილებზე პროგრამულ უზრუნველყოფაში ინტეგრირებულია Cognitec FaceVACS SDK ვერსიით 8.8/8.9
3. ინტეგრაციისა და ინსტალაციისათვის საჭირო სამუშაოები ჩატარებული იქნება შემსყიდველის საკუთარი ძალებით.

2 SDK კომპონენტის ფორმატი

1. SDK შეიძლება მოწოდებული იქნას კომპონენტის ან კომპონენტების ნაკრების სახით.
2. SDK-ს კომპონენტები, რომლებიც მოწოდებული იქნება წინამდებარე დავალების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, უნდა ითვალისწინებდნენ მათი ინტეგრაციის საშუალებას .NET ტექნოლოგიაზე დაფუძნებულ პროგრამულ უზრუნველყოფაში.

3 ოპერაციული სისტემისა, საოპერაციო გარემოს და აპარატურის მხარდაჭერა

1. SDK კომპონენტი უნდა მუშაობდეს Microsoft Windows 7 /10 32/64 და Microsoft Windows 8 64 ბიტიანი არქიტექტურით ოპერაციული სისტემების გარემოში.
2. .NET ტექნოლოგიაზე დაფუძნებულ პროგრამულ უზრუნველყოფაში ჩაშენებისას მხარდაჭერილი უნდა იყოს Microsoft Visual Studio 2010, 2012 და 2013. ჩაშენების განხორციელება უნდა შეიძლებოდეს, სულ მცირე, Microsoft Windows 7 32/64 ბიტი და Microsoft Windows 8 64 ბიტი არქიტექტურის გარემოში.
3. .NET ტექნოლოგიის ვერსიები, რომლებზეც SDK კომპონენტს მუშაობა უნდა შეეძლოს არის 3.5 და 4.0
4. SDK კომპონენტს უნდა შეეძლოს ფოტოს გადაღება კამერის საშუალებით, რომელიც ოპერაციულ სისტემაში DirectShow ინტერფეისის მეშვეობით იქნება ინტეგრირებული.
5. DirectShow ინტერფეისით ფოტოს გადაღება გარანტირებული უნდა იყოს Logitech C920 კამერაზე და ასევე Logitech-ისგან განსხვავებული სულ მცირე ორი სხვა მწარმოებლის კამერებზე.

4 SDK-ს მოთხოვნილი ფუნქციონალობა

1. SDK-ს უნდა შეეძლოს გადაიღოს ფოტოსურათი კამერიდან და მიაწოდოს იგი პროგრამას, რომელშიც SDK ინტეგრირებულია. ასევე განახორციელოს ფოტოსურათის ხარისხის კონტროლი. ხარისხის კონტროლის შედეგები ასევე რეალურ დროში უნდა მიეწოდებოდეს პროგრამას რომელშიც SDK ინტეგრირებულია.
2. SDK-ს უნდა ჰქონდეს საშუალება, კამერიდან მიღებული გამოსახულება ოპერატორს უჩვენოს ვიზუალურად, რეალურ დროში.
3. SDK მთლიანად უნდა ეყრდნობოდეს იმ კომპიუტერის გამოთვლით რესურსს, რომელზეც გაიშვება პროგრამა, რომელშიც იგი ინტეგრირებულია. ქსელურ კომუნიკაციის მოთხოვნა დასაშვებია მხოლოდ ლიცენზიის სისწორის შემოწმების მიზნით.
4. SDK-ს უნდა შეეძლოს, ფოტოსურათი ჩატვირთოს ISO 19794-5, JPG, JPG2000, PGM, PNG, BMPფორმატის ფაილებიდან
5. როგორც კამერით გადაღებული, ისე ფაილით ჩატვირთული სურათიდან უნდა შეიძლებოდეს როგორც Full Frontal ისე Token Frontal ტიპის სურათების მიღება.
6. სურათის გადაღებისა და SDK-ს მიერ მისი შესაძლო დამუშავების (მაგ. Token Frontal ტიპისსურათის ამოჭრის) შემდეგ უნდა შეიძლებოდეს, სულ მცირე, JPG ფორმატის სურათის მიღება და გადაცემა პროგრამისთვის, რომელშიც ის ინტეგრირებულია. ამ შემთხვევაში შემსყიდველს საშუალება უნდა ჰქონდეს, ფოტოს კოდირება სხვადასხვა ხარისხით მოახდინოს.
7. შემავალი ფოტოს (როგორც ფაილით ჩატვირთულის, ისე კამერით გადაღებულის) ხარისხის კონტროლის მოთხოვნები:

7.1. ფოტოსურათმა უნდა გაიაროს ხარისხის კონტროლი ICAO Document 9303 / ISO 19794-5 განსაზღვრული წესების მიხედვით.

7.2. ხარისხის კონტროლს უნდა შეეძლოს ფოტოზე სახის და თვალების აღმოჩენა. როდესაც ფოტოსურათის გადაღება კამერის საშუალებით მიმდინარეობს, სახისა და თვალების აღმოჩენა უნდა ხდებოდეს რეალურ დროში.

7.3. სურათის ხარისხის კონტროლი უნდა ხდებოდეს მინიმუმ შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

კრიტერიუმი	**მითითება ISO/IEC19794-5 სტანდარტზე**
არის თუ არა სურათი ფრონტალური	ISO 7.2.2
ჩანს მხოლოდ ერთი სახე	ISO 7.2.4
სინათლე თანაბრადაა განაწილებული სახეზე	ISO 7.2.7
სახეზე არ არის ჩრდილები	ISO 7.2.8
სახეზე არ არის ზედმეტად განათებული ადგილები	ISO 7.2.10

ხომ არ არის სურათი ზედმეტად ან ნაკლებად განათებული (ფოტოაპარატის მაშუქით)	ISO 7.3.2
კარგი გარჩევადობა (არანაკლებ 90 წერტილისა თვალებს შორის)	ISO 8.4.1
ნაცრისფერის საკმარისი გრადიენტები (ნაცრისფერის არანაკლებ 128 სხვადასხვა დონის შესაძლებლობა სურათზე)	ISO 7.4.2.1
მკაფიოა თუ არა სურათი (კარგადაა ფოკუსირებული სახეზე)	ISO 7.3.3
სახის კანი ბუნებრივი ფერისაა	ISO 7.3.4
თვალები გახელილია	ISO 7.2.3 და დამატება A 2.2.1
არ ატარებს დაბურულ სათვალეებს	ISO 7.2.11
პირი დახურულია	ISO 7.2.3 და A 2.2.1

5 რაოდენობის, ვერსიისა და ლიცენზიის (გამოყენების უფლების) მოთხოვნები

1. მოწოდებული უნდა იყოს შემოთავაზებული SDK კომპონენტის მწარმოებლის მიერ შემუშავებული, ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის არსებული ბოლო ვერსია.
2. ლიცენზია უნდა იყოს უვადო (მუდმივი) და უზრუნველყოფილი იყოს SDK კომპონენტის ერთდროულად გამოყენება რამდენიმე სამუშაო ადგილზე (კომპიუტერზე).
3. შემსყიდველს უნდა ჰქონდეს ერთი კომპიუტერიდან მეორეზე ლიცენზიის გადატანის საშუალება. თუკი ერთ-ერთი კომპიუტერი მწყობრიდან გამოვა, შემსყიდველს უნდა შეეძლოს ის ჩაანაცვლოს ახლით და გადაიტანოს მასზე ლიცენზიები ისე რომ საჭირო არ გახდეს გარე მხარეების, მათ შორის მომწოდებლის და მისი აფილირებული პირების ჩართვა.
4. წინამდებარე შესყიდვის განხორციელებამ შემსყიდველს საშუალება უნდა მისცეს, SDKკომპონენტის ინტეგრაცია საკუთარ სისტემებში იმგვარად ჩააშენოს, რომ არ მოუწიოს ცვლილებების შეტანა პროგრამულ უზრუნვალყოფაში. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა მიაწოდოს ისეთი პროდუქტი რომელიც .NET ტექნოლოგიაზე დაფუძნებულ პროგრამულ უზრუნველყოფაში ჩაშენების თვალსაზრისით (იხ. აგრეთვე თავი 2, პარაგრაფი 2) სრულიად თავსებადია შემსყიდველის მფლობელობაში არსებულ კომპონენტებთან (იხ. თავი 1, პარაგრაფი 2).
5. თუ შემოთავაზება წინამდებარე თავის მე-3 პარაგრაფის მიზნების დასაკმაყოფილებლად ითვალისწინებს რაიმე აპარატული კომპონენტების (მაგალითად ლიცენზიების მატარებელი USB მოწყობილობები) მოწოდებას, მაშინ შემოთავაზება უნდა ითვალისწინებს აღნიშნულ კომპონენტებსაც და მათი მოწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველისგან დამატებითი ხარჯების გარეშე.

6 დოკუმენტაცია

1. მიმწოდებელი ვალდებულია შესყიდვის ობიექტთან ერთად შემსყიდველს წარუდგინოს პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაციისა და მოხმარების (მათ შორის .NET ტექნოლოგიაზე დაფუძნებულ პროგრამულ უზრუნველყოფაში ჩაშენების), ასევე მისი ლიცენზიის ინსტალაციის ინსტრუქცია ქართულ ან ინგლისურ ენაზე.

7 ხარისხის მოთხოვნა

1. მოწოდებული SDK კომპონენტის ხარისხი უნდა მტკიცდებოდეს სულ მცირე ერთ-ერთი შემდეგი გზით:

1.1. SDK კომპონენტის შემოთავაზებული ვერსია ან მისი ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოსული ვერსია სერტიფიცირებული უნდა იყოს BSI-TR-03121 მიხედვით.

1.2. მომწოდებელმა უნდა წარმოადგინოს დადებითი რეკომენდაცია მინიმუმ ორი სხვადასხვა ქვეყნის ადმინისტრაციული ორგანოდან, შესყიდვის ობიექტის ან მისი ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოცემული ვერსიის გამოყენების თაობაზე.

1.3. შემოთავაზებული SDK კომპონენტი უნდა წარმოადგენდეს შემსყიდველის მფლობელობაში უკვე არსებული SDK კომპონენტის (იხ. თავი 1) უკანასკნელ ვერსიას.

8 საგარანტიო მომსახურების მოთხოვნები

1. შემოთავაზება ითვალისწინებს 3-თვიან საგარანტიო მომსახურებას.
2. საგარანტიო მომსახურება უზრუნველყოფილი უნდა იყოს შემდეგი პირობებით:

2.1. შემსყიდველის მხრიდან წამოჭრილ პრობლემებზე პასუხი უნდა გაიცეს პრობლემის წამოჭრიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში.

2.2. ინცინდენტი შეიძლება დარეგისტრირდეს ელექტრონული ფოსტით და/ან ვებ-საიტის მეშვეობით. ასევე ტელეფონით.

2.3. თუკი საგარანტიო მომსახურების მისაღებად საჭირო საკონტაქტო ინფორმაცია (ელექტრონული ფოსტის, ვებ-საიტის მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი) შეიცვლება, საგარანტიო მომსახურების მიმწოდებელმა ეს ფაქტი შემსყიდველს უნდა აცნობოს 2 დღის განმავლობაში, ახალი საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით.

9 მოწოდების პირობები

1. მიმწოდებელი ვალდებულია, შესყიდვის ობიექტი და მისი დოკუმენტაცია შემსყიდველს წარუდგინოს ელექტრონული სახით ელექტრონული ფოსტის საშუალებით ან ელექტრონულ მატარებელზე ჩაწერილი სახით.
2. ელექტრონულ მატარებელზე ჩაწერილი სახით შესყიდვის ობიექტის მიწოდებისას, შესყიდვისობიექტის ერთეულის და საერთო ღირებულება უნდა შეიცავდეს მისი ტრანსპორტირების (მათ შორის საჭიროების შეთხვევაში საბაჟო საზღვრის კვეთასთან დაკავშირებულ) ხარჯებს.
3. შესყიდვის ობიექტის ან მისი კომპონენტის ელექტრონულ მატარებელზე ჩაწერილი სახით მოწოდების (CD/DVD დისკი, USB მოწყობილობა ლიცენზიისთვის და სხვა) შემთხვევაში ელექტრონულ მატარებელს და მასზე ჩაწერილ ელექტრონულ

ინფორმაციაზე უნდა ვრცელდებოდეს გარანტია არანაკლებ 3 წლის მანძილზე (გარანტიის ამოქმედების შემთხვევაშიმიმწოდებელი ვალდებულია ხარვეზი გამოასწოროს არანაკლებ 20 დღის განმავლობაში. ხარვეზის გამოსწორებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი ეკისრება მიმწოდებელს).

ფასების ცხრილი

#	დასახელება	რაოდენობა	განზ. ერთეული.	ერთეულის ფასი (დღგ-ს ჩათვლით)	საერთო ფასი (დღგ-ს ჩათვლით)	წარმოშობის ქვეყანა /მწარმოებელი კომპანია
1	ლიცენზია ფოტოგადაღების და ხარისხის კონტროლერი და ელექტრონული გასაღები	5	ცალი	3 510.00	17 550.00	გერმანია Cognitec Systems GmbH

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი **15 ივნისი წელი**

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ **შპს „ენ ჯი თი გრუპის“** მიმართ სრულად ვაკმაყოფილებთ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლით დადგენილ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს.

აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
(ფინანსების დირექტორი)
ავთანდილ კოხრეიძე

სსიპ „იუსტიციის სახლის“
ადმინისტრაციისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
თიკა ნებიერიძე

სსიპ „იუსტიციის სახლის“
შესყიდვების სამსახურის უფროსის
შალვა ჯულაყიძე

სსიპ „იუსტიციის სახლის“
შესყიდვების სამსახურის მრჩეველი
ნინო ბუაძე

NGT Group LLC

Digitally signed by NGT Group LLC
DN: cn=NGT Group LLC, 2.5.4.97=NTRGE-404922447, o=[illegible], c=GE
Date: 2022.06.15 17:13:05 +04'00'